ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-03252956-03
თარიღი: 22.10.2025 13:01
ვადა: 21.11.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-0125295801 განცხადების თარიღი: 22.10.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დადგენილებში ცვლილების შეტანის შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-03252956-03
22.10.2025 : 13:01
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-0125295801**
თარიღი: **22/10/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტებს.

დანართი: 20 გვერდი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N---
2025 წლის
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 08/04/2015, სარეგისტრაციო კოდი: 410080000.35.101.016141) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესს” დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 მუხლი:

„მუხლი 11. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევაში კონფისკაციას დაქვემდებარებული ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანა

1. ამ მუხლით განსაზღვრული წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში კონფისკაციას დაქვემდებარებულ ცხოველზე.
2. კონფისკაციას დაქვემდებარებულ ცხოველს უფლებამოსილი ორგანო გადაიყვანს სპეციალურ ადგილზე, ამ მუხლით დადგენილი, შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.
3. ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანიდან 10 დღის შემდეგ, ცხოველის გაჩუქების მიზნით, უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში და სხვა) გამოქვეყნებას უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე, ასევე, ცხოველთა შესახებ არსებულ სხვა პროაქტიულ სივრცეში (ვებგვერდები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორუმები, სხვა მედიასაშუალებები).
4. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველი ჩუქების ფორმით გადაეცემა დაინტერესებულ პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ დადგენილებით განსაზღვრული

მოვლა-პატრონობის წესის დაცვის შემოწმების მიზნით განაცხადებს წერილობით თანხმობას უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ადგილსამყოფლის და მისი მოვლა-პატრონობის წესის დაცვის პერიოდულად გადამოწმებაზე.

5. სპეციალური ადგილიდან ცხოველის ჩუქებით გაყვანამდე, იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის გარეშე მყოფი ცხოველი ექვემდებარება სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას, ამ წესის საფუძველზე.
6. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების გატარების შემდეგ, ცხოველი 10 დღის ვადაში არ გაჩუქდება, უფლებამოსილი ორგანო გაატარებს ამ წესით დადგენილ სხვა ღონისძიებებს.
7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადა შეჩერდება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი პირი გაასაჩივრებს მის მიმართ გამოცემულ საჯარიმო ქვითარს - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე
ზურაბ აბაშიძე

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ საქმიანობის ჯეროვნად და ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტების შესაბამისობა. 2025 წლის 2 ივლისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილების (N907-IIIრს-XIმპ) საფუძველზე 103-ე მუხლს დაემატა და ამოქმედდა მე-9 და მე-10 ნაწილები - შინაური ბინადარი ცხოველების ორთაბრძოლების აკრძალვის შესახებ. აღნიშნული ნაწილები სანქციის სახით ითვალისწინებენ ჯარიმასა და ცხოველის კონფისკაციას. საკანონმდებლო ცვლილებამდე მოქმედ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში (შემდგომში - დადგენილება) არ იყო განსაზღვრული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად კონფისკაციას დაქვემდებარებული ცხოველის სპეციალურ ადგილზე (მუნიციპალურ თავშესაფარში) გადაყვანისა და შემდგომი პროცედურების განხორციელების წესი. შესაბამისად, საჭირო გახდა დადგენილების ცვლილება და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიზანია დადგენილებაში აისახოს 2025 წლის 2 ივლისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილება. კერძოდ, დარეგულირდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (მუხლი 103) განსაზღვრული, ცხოველის კონფისკაციის შემდეგ უფლებამოსილი ორგანოს (სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს) მიერ გასატარებელი ღონისძიებები.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

ცვლილება შედის დადგენილებაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესს ემატება მე-11 მუხლი: „ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევაში კონფისკაციას დაქვემდებარებული ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანა“. აღნიშნული მუხლით განისაზღვრება კონფისკაციას დაქვემდებარებული ცხოველის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანის, მოვლა-პატრონობისა და განკარგვის პროცედურები. ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანიდან 10 დღის შემდეგ, ცხოველის გაჩუქების მიზნით, უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს ცხოველის ფოტოსურათების და დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში და სხვა) გამოქვეყნებას უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე, ასევე, ცხოველთა შესახებ არსებულ სხვა პროაქტიულ სივრცეში (ვებგვერდები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორუმები, სხვა მედიასაშუალებები). სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველი ჩუქების ფორმით გადაეცემა დაინტერესებულ პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი მოვლა-პატრონობის წესის დაცვის შემოწმების მიზნით განაცხადებს წერილობით თანხმობას უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ადგილსამყოფლის და მისი მოვლა-პატრონობის წესის დაცვის პერიოდულად გადამოწმებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დადგენილების მე-11 მუხლით განსაზღვრული ღონისძიების გატარების შემდეგ, ცხოველი 10 დღის ვადაში არ გაჩუქდება, უფლებამოსილი ორგანო გაატარებს ამ დადგენილებით განსაზღვრულ სხვა ღონისძიებებს.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N---
2025 წლის --
ქ. თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 12/07/2024, სარეგისტრაციო კოდი: 020080160.35.101.017235) და:

ა) დადგენილების მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნტით დამტკიცებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის“ (დანართი N1):

ა.ა) მე-3 მუხლის:

ა.ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, თანამშრომელი უფლებამოსილია, კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება სამოქმედო ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ შორის, ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე.

თანამშრომელი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს, მიუხედავად იმისა, სამართალდამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას.";

ა.ა.ბ) მე-8 პუნქტის „ბ.ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ი) მე-9 პუნქტში შეიტანება: დამრღვევის ახსნა-განმარტება, კონფისკაციის აქტი ან/და სხვა დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ახსნა-განმარტების, კონფისკაციის აქტის ან/და სხვა დოკუმენტის არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება ან/და შეადგინა შესაბამისი დოკუმენტი.".

ა.ბ) მე-4 მუხლის:

ა.ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, თანამშრომელი უფლებამოსილია, კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება სამოქმედო ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ შორის ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე. თანამშრომელი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს, მიუხედავად იმისა, სამართალდამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას.";

ა.ბ.ბ) მე-10 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მე-8 პუნქტში – მოწმე ან სხვა მონაწილე , ახსნა-განმარტება, კონფისკაციის აქტი ან/და სხვა თანდართული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სტატუსი/ხელმოწერა; ახსნა-განმარტების, კონფისკაციის აქტის ან/და სხვა დოკუმენტის არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება ან/და შეადგინა შესაბამისი დოკუმენტი.".";

ბ) დადგენილების მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული - საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი N2) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი N1-ის შესაბამისად;

გ) დადგენილების მე-2 მუხლის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებული - ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი N3) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი N2-ის შესაბამისად;

დ) დამტკიცდეს კონფისკაციის აქტი (დანართი N8) ამ დადგენილების დანართი N3-ის შესაბამისად.

ე) დადგენილების მე-2 მუხლს “ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი: „თ) კონფისკაციის აქტი - დანართი N8-ს შესაბამისად“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

სააგენტოს ეფექტური საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა. 2025 წლის 2 ივლისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილების (N907-IIIრს-XIმპ საფუძველზე 103-ე მუხლს დაემატა და ამოქმედდა მე-9 და მე-10 ნაწილები-, - შინაური ბინადარი ცხოველების ორთაბრძოლების აკრძალვის შესახებ. აღნიშნული ნაწილები სანქციის სახით ითვალისწინებენ ჯარიმასა და ცხოველის კონფისკაციას. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებით** (შემდგომში-დადგენილება) განსაზღვრულ საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსების წესში პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრულია მხოლოდ ჯარიმა, ასევე ამავე დადგენილებით გაწერილია საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და ელექტრონული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმები. ოქმის ფორმებზეც სახდელის სახით მითითებულია მხოლოდ ჯარიმა. შესაბამისად, საჭირო გახდა დადგენილების ცვლილება და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი ცვლილების დადგენილებაში აისახოს 2025 წლის 2 ივლისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილება და სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ მხრიდან მოხდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამართალდარღვევების გამოვლენასა და განმეორებით დაფიქსირების პრევენციას.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

ცვლილება შედის დადგენილებაში და იცვლება დადგენილების დანართი N1-ით განსაზღვრული მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, შესაბამისი მუხლების რედაქტირება განპირობებულია საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე სანქციის სახედ დამატებით განისაზღვრა ცხოველის კონფისკაცია. ამდენად, დადგენილებაში ტერმინი „ჯარიმა“ ჩანაცვლდა ზოგადი ტერმინით „სახდელი“, რათა მოიცავდეს როგორც ფულად ჯარიმას, ასევე კონფისკაციას. დანართ N2-ში, საჯარიმო ქვითრის ფორმის მე-9 პუნქტში, დამატებულია ცხოველის კონფისკაციის ველი, ხოლო დანართ N3-ში, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მე-8 პუნქტში მოწმის ან სხვა მონაწილის მითითების ველს ასევე ემატება კონფისკაციის ველი. ასევე დადგენილების მე-2 მუხლს “ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება „თ“ ქვეპუნქტი: „თ) კონფისკაციის აქტი - დანართი N8-ს შესაბამისად.“

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

დანართი №3

ელექტრონული საჯარიმო ქვითარი №--0000000

1. შედგენის თარიღი
2. შემდგენელი
3. სამართალდამრღვევის პირადი №: სახელი და გვარი: სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში): მისამართი: და სხვა
4. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი: დრო: არსი:
5. პასუხისმგებლობა აღნიშნული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის
6. ჯარიმის ოდენობა ---------- ლარი
7. საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი
8. მოწმე ან სხვა მონაწილე, ახსნა-განმარტება, კონფისკაციის აქტი ან/და სხვა თანდართული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ახსნა-განმარტების, კონფისკაციის აქტის ან/და სხვა დოკუმენტის არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება ან/და შეადგინა შესაბამისი დოკუმენტი) სტატუსი/ხელმოწერა
9. სამართალდამრღვევის ხელმოწერა/ უარი ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე
10. შემდგენლის ხელმოწერა
11. შენიშვნა
ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს, გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ. გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს

(მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

ელექტრონული საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი.

დანართი N8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

,,_____''_____" 20__წ. ქ. თბილისი

კონფისკაციის აქტი N

_____

აქტის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი)

ევადგინეთ აღნიშნული აქტი მასზედ, რომ:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-ბინადარი ცხოველების ორთაბრძოლებისათვის ადგილის გადაცემა - რაც ითვალისწინებს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის N ---------- ოქმით, 25 000 ლარის ოდენობით და ცხოველის კონფისკაციას, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის N ---------- ოქმით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით და ცხოველის კონფისკაციას.

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-ბინადარი ცხოველების ორთაბრძოლების ორგანიზება ან/და ჩატარება, რომელიც არ მოიცავს ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას - რაც ითვალისწინებს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის N ---------- ოქმით 30 000 ლარის ოდენობით და ცხოველის კონფისკაციას, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის N ---------- ოქმით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 35 000 ლარის ოდენობით და ცხოველის კონფისკაციას.

ამართალდარღვევის საგანი:

ამართალდარღვევის ადგილი:

ამართალდამრღვევი პირი:

პირის იდენტიფიკაციის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

ამართალდამრღვევი პირის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ოწმე (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შედგა წინამდებარე აქტი, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერებით:

მოწმე: _____

ოქმის შემდგენი: _____

სამართალდამრღვევი პირი: _____

დანართი №2

საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

ნაწილი I

საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № _____ ბ. ა.

1. შედგენის თარიღი: _____
(რიცხვი, თვე, წელი)

2. შედგენის ადგილი: _____

3. შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი: _____

4. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მონაცემები: _____
_____
(ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები, პირადი ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა); იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, მისამართი და გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი)

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი: _____
_____

6. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____ მუხლის _____ ნაწილით.

7. ჯარიმის ოდენობა: _____ ლარი

8. მოწმე (ასეთის არსებობის შემთხვევაში): _____
_____
(მოწმის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები, პირადი ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

9. დამრღვევის ახსნა-განმარტება, კონფისკაციის აქტი ან/და სხვა დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
_____
(ახსნა-განმარტების, კონფისკაციის აქტის ან/და სხვა დოკუმენტის არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება ან/და შეადგინა შესაბამისი დოკუმენტი)

10. მიმღები მოლარე: _____ _____
(ხელმოწერა) (თარიღი)

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: _____

მოწმე: _____
(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენელი: _____
(ხელმოწერა)

სამართალდამრღვევი: _____
(ხელმოწერა)

ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა: _____

ნაწილი II

საჯარიმო ქვითრის ყუა № _____

ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში.

1. _____
გადამხდელის სახელი და გვარი

2. _____
გადამხდელის მისამართი

3. _____
ჯარიმის ოდენობა

4. _____
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი (ნაწილი)

5. _____
სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი

6. _____
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი

7. მიმღები მოლარე: _____
(ხელმოწერა)

8. თანხის შემომტანი: _____
(ხელმოწერა)

ბ. ა.

თარიღი: _____
(რიცხვი, თვე და წელი)

საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მე-2 გვერდი

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრების შესახებ. გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის ნომერი.

დამკვეთი:	დამამზადებელი:
მისამართი:	სემგს-ს რეგისტრაციის №

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

21/10/2025

MES 6 25 0001378393

სსიპ – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორს,
ბატონ ნიკოლოზ არაგველს

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში თქვენი N73-01252903538 (17.10.2025) წერილით (სამინისტროში რეგისტრაციის N1367220; 17.10.2025) ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად შემოვიდა „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის“ ფორმის ნიმუში.

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განხილულ იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტის ფორმის ნიმუში და მის ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

დანართი: 2 ფურცელი
პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / მეცნიერების
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი

ქეთევან ქოქრაშვილი

ელექტრონული
მფლობელსაუღიარ
ელექტრონული

ნომერი: 17-01252943284-01
თარიღი: 21.10.2025 17:10
ვადა: 20.11.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო
მისამართი: თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, ჩიხი N5
განცხადების N: 73-01252943058 განცხადების თარიღი: 21.10.2025
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

საკრებულოს დადგენილების პროექტი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 17-01252943284-01
21.10.2025 : 17:10
ქ. თბილისი, უ.შარტავას ქ. N7

წერილის ნომერი: **73-01252943058**
თარიღი: **21/10/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს,

ანდრია ბასილაიას

ბატონო ანდრია,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად გიგზავნით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტებს.

დანართი: 17 ფურცელი.

ნიკოლოზ არაგველი

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი